ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N34

2018 წლის 21 თებერვალი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქ.ქობულეთში, ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქ. N119-ის ტერიტორიაზე ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ რამაზ ათაბაძის კუთვნილ ობიექტზე ს/კ 20.42.06.449) 0.38 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი


ENERGO-PRO
ელექტრული ნაწილი
ობიექტი
საკაბელი არხის ხიგრძე 28 მ
ქს ქობულეთი ფ.№5 ხმ 102-029-400 კვა
საპროექტო 0.4 კვ კაბელი 49 მ
არსებული 0.4 კვ რკ დგარი
განძეულების წერტილი
არსებული 10 კვ-ის ლითონის დგარი
საპროექტო 0.4 კვ კაბელი 15 მ